ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 166

"24" ივლისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვარკეთილის-3, IIIა მ/რ, კორპუსი №337-ის მიმდებარედ არსებული 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.19.39.012.056) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისში, ვარკეთილის-3-ის IIIა მიკრორაიონის კორპუსი №337-ის მიმდებარედ არსებული 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.012.056) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 15 ივლისის №20.747.921 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: „ქ. თბილისში, ვარკეთილის-3-ის IIIა მიკრორაიონის კორპუსი №337-ის მიმდებარედ არსებული 2379 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.012.056) გაცვლის ფორმით საპრივატიზებო საფასურით - 120 000 (ასოცი ათასი) ლარის ოდენობით პრივატიზებაზე, შპს „ოცნების სახლის" (ს/ნ: 406124536) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის IIIა მიკრორაიონში, N180 სკოლის მიმდებარედ მდებარე 1958 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.39.010.055) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე